



პერსონალურ მონაცემთა
დაცვის ინსპექციის აპარატი

რეკომენდაცია ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ



მაისი, 2016

რეკომენდაცია მომზადებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, ჯანმრთელობის დაცვის მარეგულირებელი ნორმების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის #97) 5 რეკომენდაციის საფუძველზე. დოკუმენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა და მიზნად ისახავს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დაცვის სტანდარტებისა და სამედიცინო მომსახურების გამწევ პირობა ცნობიერების ამაღლებას, ასევე პაციენტთა უფლებების დაცვის ხელშეწყობას.

შესავალი

ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს განეკუთვნება, ვინაიდან მასზე არაუფლებამოსილი პირების წვდომამ, უკანონო გამოყენებამ, გამჟღავნებამ, შეცვლამ ან განადგურებამ, მონაცემთა დამუშავების დროს უსაფრთხოების ზომების დაუცველობამ შესაძლოა მძიმე მორალური ან მატერიალური ზიანი მიაყენოს პაციენტს და გამოიწვიოს მისი სტიგმატიზაცია.

სამედიცინო მომსახურების გამწევი ორგანიზაციები ყოველდღიურად აგროვებენ, ინახავენ და იყენებენ ჯანმრთელობის შესახებ მონაცემებს. მათ მიერ პაციენტის პირადი ცხოვრების პატივისცემა და მონაცემების დაცვისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარება ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მიმართ მოქალაქეთა ნდობის განმტკიცებას და პაციენტის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის სტანდარტების გაუმჯობესებას.

საქართველოში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დაცვის საკითხები ძირითადად რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონებით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, „პაციენტის უფლებების შესახებ“, „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მთავრობის დადგენილებებითა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ნორმატიული აქტებით. პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დამუშავებისას მნიშვნელოვანია ყველა საკანონმდებლო აქტის გამოყენება, ხოლო რეგულაციებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს უპირატესი იურიდიული ძალის მქონე აქტს.

წინამდებარე რეკომენდაცია განკუთვნილია, როგორც სამედიცინო მომსახურების გამწევი დაწესებულებებისათვის (მათ შორის, ესთეტიკური მედიცინის ცენტრების, სტომატოლოგიური კლინიკების და ყველა იმ ორგანიზაციისთვის, რომელიც საქმიანობიდან გამომდინარე ამუშავებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას), ასევე პაციენტებისთვის და ითვალისწინებს სახელმძღვანელო წესებს ჯანმრთელობის შესახებ მონაცემთა დამუშავების, უსაფრთხოების ზომების და პერსონალური მონაცემების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ.

1. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესის კანონიერების უზრუნველსაყოფად აუცილებელია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძვლის არსებობა და მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვა.

1.1. მონაცემთა დამუშავების პრინციპები

პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში დაცული უნდა იყოს შემდეგი პრინციპები:

- მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეუღახავად;
- მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით;
- მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი;
- მონაცემები ნამდვილი და ზუსტი უნდა იყოს და საჭიროების შემთხვევაში, უნდა განახლდეს. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს;
- მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მონაცემთა დამუშავების კანონიერების პრინციპის დასაცავად, აუცილებელია როგორც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესების დაცვა, ასევე ჯანმრთელობის დაცვის სფეროსთან და პაციენტის უფლებებთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და რეგულაციების დაცვა.

მონაცემთა დამუშავების მიზანი უნდა იყოს მკაფიო, კონკრეტული და წინასწარ განსაზღვრული. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს რამდენად არის ამ მიზნის ადეკვატური და პროპორციული დასამუშავებელი მონაცემების მოცულობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ მონაცემების მესამე პირისთვის (მათ შორის, ოჯახის წევრებისთვის)

გამჟღავნება ხდება. განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა იყოს გამოჩენილი ისეთი სახის მონაცემების გამჟღავნების შემთხვევაში, რომელიც უკავშირდება სქესობრივ ცხოვრებას, რეპროდუქციულ ჯანმრთელობას.

თუ კანონმდებლობით ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების შენახვის ვადები დადგენილი არ არის, მაშინ ეს უნდა განისაზღვროს სამედიცინო დაწესებულების შიდა რეგულაციით. ვადების განსაზღვრისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მონაცემთა შენახვის მიზანი და საჭიროება.

1.2. მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

ზოგადად, პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძვლები მოცემულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლში. რაც შეეხება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, მათ შორის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას, მათი დამუშავება ამავე კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად უნდა განხორციელდეს.

კანონით დადგენილი ზოგადი წესის თანახმად, **ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება აკრძალულია, თუმცა აქვე გათვალისწინებულია გამონაკლისი შემთხვევები.** განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება დასაშვებია, თუ:

- არსებობს მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა;
- ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებების და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არ აქვს, მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა განაცხადოს;
- მონაცემები მუშავდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისათვის ან ფუნქციონირებისათვის;
- მონაცემთა სუბიექტმა საჯარო გახადა მის შესახებ მონაცემები მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე;
- მონაცემები მუშავდება პოლიტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური ან პროფესიული გაერთიანების ან არაკომერციული ორგანიზაციის მიერ ლეგიტიმური საქმიანობის განხორციელებისას. ასეთ შემთხვევაში მონაცემთა დამუშავება შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ ამ გაერთიანების/ორგანიზაციის

წევრებთან ან პირებთან, რომლებსაც მუდმივი კავშირი აქვთ ამ გაერთიანებასთან/ორგანიზაციასთან.

- მონაცემთა დამუშავება ხდება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეებისა და რეესტრების წარმოების, მსჯავრდებულის მიმართ მის მიერ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ან/და მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით.

მონაცემთა მიმართ განხორციელებული თითოეული ქმედებისთვის აუცილებელია დამოუკიდებელი სამართლებრივი საფუძვლის არსებობა. *მაგალითად, როდესაც პაციენტის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვების საფუძველი არის მათი დამუშავება ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნებისათვის, ამ ინფორმაციის მესამე პირებზე გადასაცემად სამედიცინო დაწესებულებას სჭირდება დამატებითი საფუძველი, მაგალითად, პაციენტის თანხმობა.*

სამედიცინო დაწესებულებების მიერ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები ყველაზე ხშირად მუშავდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისა ან ფუნქციონირებისთვის აუცილებლობის საფუძველით.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემები სამედიცინო დაწესებულების მიერ შესაძლოა დამუშავდეს მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემთა სუბიექტს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ფიზიკურად ან სამართლებრივად არ შესწევს უნარი თანხმობა განაცხადოს მონაცემთა დამუშავებაზე.

სამედიცინო დაწესებულებების მიერ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავებისას აუცილებელია პაციენტის წერილობითი თანხმობის მოპოვება, თუ სახეზე არ არის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველი. ამასთან, კანონი ადგენს თანხმობის კანონიერების წინაპირობებს. კერძოდ, იმისათვის, რომ პაციენტის თანხმობა განვიხილოთ მონაცემთა დამუშავების საფუძველად, პაციენტს წინასწარ უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების მიზნების შესახებ და თანხმობას უნდა ჰქონდეს ნებაყოფლობითი ხასიათი.

გარკვეულ შემთხვევებში პაციენტის თანხმობის არსებობის აუცილებლობას განსაზღვრავს სამედიცინო სფეროს მარეგულირებელი სპეციფიური კანონმდებლობაც. *მაგალითად, პაციენტის თანხმობა სავალდებულოა მისი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული*

მონაცემების გამოყენებისას კვლევის მიზნით, ასევე ადამიანის ორგანოთა ნაწილების, ქსოვილების აღებისა და გამოყენებისთვის.

თანხმობის საფუძველზე ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემთა დამუშავების დროს დღის წესრიგში დგება **თანხმობის გაცხადებაზე უფლებამოსილი პირის იდენტიფიცირების საკითხი**, რომელიც განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით მონაცემების მიმოცვლისას, როცა არსებობს მონაცემების არა თავად მონაცემთა სუბიექტისთვის, არამედ სხვა არაუფლებამოსილი პირისთვის გადაცემის საფრთხე. *მაგალითად, პაციენტისთვის სამედიცინო გამოკვლევის შედეგების მიწოდებისას ელექტრონული ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით, ინფორმაციის მიწოდებამდე აუცილებელია პირის იდენტიფიცირება და მიზანშეწონილია დამატებითი დაცვითი მექანიზმის (მაგალითად, სატელეფონო კოდი) გამოყენება.*

2. პერსონალური მონაცემების მესამე პირებზე გაცემა და გასაჯაროება

ჯანმრთელობის დაცვის სექტორში ხშირად გვხვდება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების მესამე პირებისათვის გადაცემის შემთხვევები. მესამე პირებზე ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცემამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს მონაცემთა სუბიექტის ინტერესებს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძვლის არსებობის მიუხედავად, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება. გარდა ამისა, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად, ქმედუნარიან პაციენტს უფლება აქვს გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა ვინმემ ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. დადებითი გადაწყვეტილების მიღებისას მანვე უნდა დაასახელოს ის პირი, რომელსაც ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს. პაციენტის გადაწყვეტილება და ინფორმაციის მიმღები პირის ვინაობა ფიქსირდება სამედიცინო დოკუმენტაციაში. ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია, დაიცვას პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა და არ მოახდინოს მისი მესამე პირებისათვის მიწოდება ან/და გასაჯაროება.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მესამე პირებისთვის გადაცემისას **აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს მონაცემთა დამუშავების პრინციპებზე**. შესაძლებელია ერთ შემთხვევაში მონაცემთა გადაცემის ფაქტი იყოს მიზნის ადეკვატური და პროპორციული, ხოლო სხვა შემთხვევაში - არა. *მაგალითად, უგონო მდგომარეობაში მყოფი*

პაციენტის ოჯახის წევრებს, რომლებიც იღებენ პასუხისმგებლობას პაციენტის შემდგომ მკურნალობასა და მოვლაზე, უფლება აქვთ იცოდნენ პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ამ შემთხვევაში მონაცემების დამუშავება ხდება ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.¹ ამასთან, ინფორმაციის გაცემა არის მიზნის პროპორციული და ადეკვატური. მეორე მხრივ, მონაცემთა დამუშავების საფუძველი სახეზე არ იქნება და პრინციპების დარღვევა მოხდება, თუ პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ოჯახის წევრისათვის ინფორმაციის მიწოდება მოხდება მაშინ, როდესაც პაციენტი არ საჭიროებს სხვათა დახმარებას მკურნალობის ან თავის მოვლის პროცესში და შეუძლია თავად გადაწყვიტოს, რა ინფორმაციას მიაწვდის ოჯახის წევრებს.

სადაზღვევო კომპანიისათვის ჯანმრთელობის მდგომარეობის, მიღებული სამედიცინო მომსახურების, სხვადასხვა ლაბორატორიული კვლევისა და დიაგნოზის შესახებ ინფორმაციის მიწოდების საფუძველი, როგორც წესი, არის მონაცემთა სუბიექტის მიერ სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გამოხატული წერილობითი თანხმობა. ამასთან, სადაზღვევო კომპანიისთვის ინფორმაციის მიწოდება უნდა ემსახურებოდეს სადაზღვევო კომპანიის მიერ მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების მიზანს.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც **სამართალდამცავი ორგანოების მიერ ხდება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოთხოვა**. ამ შემთხვევაში ინფორმაციის გადაცემა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, როდესაც ეს ემსახურება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების ან დანაშაულის გამოძიების მიზნებს და ეს პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, საქართველოს კანონით „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ ან სხვა სპეციალურ კანონით.²

მხედველობაშია მისაღები ასევე კონკრეტულ დაავადებებთან მიმართებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციფიური რეგულაციები. მაგალითად, „*აივ ინფექცია/შიდსის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად ან დროებით მცხოვრებ ან მყოფ ნებისმიერ პირს, უფლება აქვს, გაიაროს ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება აივ ინფექცია/შიდსზე, მათ შორის, ანონიმურად და კონფიდენციალურად. ამ შემთხვევაში აივ ინფექცია/შიდსზე ტესტირებისას სამედიცინო დაწესებულებას ეკისრება ვალდებულება დაიცვას არა მხოლოდ პაციენტის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, არამედ პაციენტის სურვილის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი*

¹ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მუხლი 6 (გ)

² საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მუხლი 3.6.

ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემების დამუშავება პაციენტის ანონიმურობის დაცვით და მათი დეპერსონალიზებული სახით შენახვა. ამ დროს მნიშვნელოვანია პაციენტის ინფორმირება იმასთან დაკავშირებით, რომ მას აქვს მისი მონაცემების ანონიმურად ან დეპერსონალიზებული ფორმით დამუშავების მოთხოვნის უფლება.

! სამედიცინო დაწესებულებამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასოს, თუ რამდენად არის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების მესამე პირებისათვის გაცემა მისაღწევი მიზნის ადეკვატური და პროპორციული და არსებობს თუ არა მონაცემების გაცემის რეალური საჭიროება.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების გასაჯაროება, დასაშვებია მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობით. ხშირია შემთხვევები, როდესაც მკურნალი ექიმი ან სამედიცინო დაწესებულების სხვა წარმომადგენელი პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას აწვდის მედია საშუალებებს. მიუხედავად იმისა, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ვრცელდება მედია საშუალებების მიერ პერსონალური მონაცემების საზოგადოების ინფორმირების მიზნით დამუშავებაზე, ეს არ გულისხმობს, რომ სამედიცინო დაწესებულებებს შეუძლიათ, მედია საშუალებებს მიაწოდონ პერსონალური მონაცემები პაციენტის ინფორმირებული თანხმობის გარეშე.

მიზანშეწონილია, რომ სამედიცინო დაწესებულებებმა არ შექმნან პაციენტის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების საფრთხე. *მაგალითად, არასწორია მკურნალ ექიმთან ვიზიტზე ჩაწერილი პაციენტების სახელებისა და გვარების განთავსება სამედიცინო დაწესებულებების შესასვლელში ან ექიმის კაბინეტის კარზე.*

3. მონაცემთა უსაფრთხოება

სამედიცინო დაწესებულებამ უნდა მიიღოს შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები პერსონალური მონაცემების დასაცავად. მნიშვნელოვანია, რომ მონაცემთა უსაფრთხოებისათვის მიღებული ზომები იყოს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკების ადეკვატური და პროპორციული. რისკების შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დაწესებულებაში თანამშრომელთა რაოდენობა, მონაცემთა ბაზებთან მათი წვდომა, მონაცემთა ბაზაზე წვდომის უფლების მქონე მესამე პირები და ა.შ.

ტექნიკური ზომები გულისხმობს, როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) უსაფრთხოებას, ასევე ინფორმაციის ფიზიკურ დაცვას. რაც შეეხება ორგანიზაციულ ზომებს, მასში იგულისხმება სამედიცინო დაწესებულების მენეჯმენტის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის ინსტრუქციის/რეგულაციის შემუშავება, რომელშიც

გაწერილი იქნება სამედიცინო დაწესებულებაში პერსონალის წვდომა ამა თუ იმ კატეგორიის მონაცემზე, სასურველია ასევე ორგანიზაციამ განსაზღვროს პასუხისმგებლობა პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავებისათვის და კონტროლის მექანიზმები.

სამედიცინო დაწესებულების ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს და დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ ადგენს, რომ სამედიცინო დაწესებულების ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას სამედიცინო (საექიმო) საიდუმლო. საქართველოს კანონით „საექიმო საქმიანობის შესახებ“ დადგენილია, რომ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტი ვალდებულია, დაიცვას პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

4. ვიდეოთვალთვალი სამედიცინო დაწესებულებებში

საქართველოს კანონი „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ ადგენს კერძო და საჯარო დაწესებულებათა შენობებში ვიდეოთვალთვალის განხორციელების წესებს. კანონით ვიდეოთვალთვალი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოების და საკუთრების დაცვის, არასრულწლოვანის მავნე ზეგავლენისგან დაცვისა და საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის. კანონი ცალსახად კრძალავს ვიდეოთვალთვალის განხორციელებას გამოსაცვლელ ოთახებსა და ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში.

სამედიცინო დაწესებულებების მიერ დამუშავებული მონაცემების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას განსაკუთრებით ყურადსაღებია მონაცემთა დამუშავების პროპორციულობის და ადეკვატურობის პრინციპი. კერძოდ, სამედიცინო დაწესებულების მიერ ვიდეოთვალთვალი შეიძლება განხორციელდეს აპარატურის ან სხვა საკუთრების დაცვის მიზნით, თუმცა წარმოადგენდეს არაპროპორციულ ზომას თუ იგი მიმდინარეობს ოთახში, სადაც პაციენტი იღებს სამედიცინო მომსახურებას. *მაგალითად, საპროცედურო ოთახები, კვლევისათვის განკუთვნილი ადგილები და სხვა.*

! მნიშვნელოვანია, ვიდეოთვალთვალის განხორციელების პროცესში თვალსაჩინო ადგილას განთავსდეს ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშანი.

5. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

პაციენტს, როგორც მონაცემთა სუბიექტს, გააჩნია შემდეგი უფლებები:

– ინფორმაციის მიღების უფლება

პაციენტს უფლება აქვს იცოდეს, თუ რა სახის მონაცემები მუშავდება/ინახება მის შესახებ სამედიცინო დაწესებულებაში, რა მიზნით და გზით შეგროვდა ეს ინფორმაცია და ასევე ვისზე გაიგა მისი სამედიცინო ისტორია ან კვლევის შედეგები. მონაცემთა სუბიექტი თავად ირჩევს მისთვის ინფორმაციის მიწოდების ფორმას.³ გარდა ამისა, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია პაციენტს უნდა მიეწოდოს მისთვის გასაგები ფორმით⁴.

პაციენტისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, ან მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა, თუ ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

- ინფორმაციის სხვა დაწესებულებაში ან სტრუქტურულ ერთეულში მოძიებასა და დამუშავებას ან მასთან კონსულტაციას;
 - მნიშვნელოვანი მოცულობის, ერთმანეთთან დაუკავშირებელი დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;
 - სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.
- **შეცვლის, დამატების, დაბლოკვის, წაშლის და განადგურების მოთხოვნის უფლება.**

მონაცემების უზუსტობის, მოძველების ან მათი შეგროვებისა და შემდგომი დამუშავების უკანონობის შემთხვევაში, პაციენტს უფლება აქვს წერილობით, ზეპირად ან ელექტრონული საშუალების გამოყენებით მოითხოვოს მონაცემების გასწორება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება. მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის ვადაში მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაცია ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან განადგუროს მონაცემები ან მონაცემთა სუბიექტს აცნობოს უარის თქმის საფუძველი.

იმ შემთხვევაში თუ სამედიცინო დაწესებულება თავად ჩათვლის, რომ მის ხელთ არსებული მონაცემები არასრულია, არაზუსტია ან არ არის განახლებული, მან შესაბამისად უნდა გაასწოროს ან განაახლოს მონაცემები და ეს აცნობოს პაციენტს.

³ საქართველოს კანონი „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“, მუხლი 21 (4)

⁴ საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხლი 19

მონაცემთა შეცვლის, დამატების, დაბლოკვის, წაშლის და განადგურების მოთხოვნის შესახებ წარდგენის შემდეგ მონაცემთა დამმუშავებელი უფლებამოსილია განმცხადებლის თხოვნის საფუძველზე დაბლოკოს მონაცემები, მოთხოვნის წარდგენიდან 3 დღის ვადაში. ეს გადაწყვეტილება ძალაშია მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, წაშლისა და განადგურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. ამასთან, მონაცემთა დაბლოკვის შესახებ გადაწყვეტილება დაბლოკვის მიზეზის არსებობის განმავლობაში უნდა ერთოდეს შესაბამის მონაცემებს.

– თანხმობაზე უარი

პაციენტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, განმარტების გარეშე უარი განაცხადოს მის მიერ გაცემულ თანხმობაზე და მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებული მონაცემების განადგურება. სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნის შესაბამისად შეწყვიტოს მონაცემების დამუშავება ან/და გაანადგუროს დამუშავებული მონაცემები განცხადების წარდგენიდან 5 დღის ვადაში, თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი. ეს წესი არ ვრცელდება პაციენტის მიერ ფულადი ვალდებულებების შესრულების შესახებ მისივე თანხმობით დამუშავებულ ინფორმაციაზე.

ზემოაღნიშნული უფლებები შეიძლება, შეიზღუდოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ მათი რეალიზაცია საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ ინტერესს, დანაშაულის გამოვლენას, გამომიებასა და აღკვეთას და ასევე, მონაცემთა სუბიექტისა და სხვათა უფლებებს. *მაგალითად, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით, პაციენტს შეიძლება არ მიეწოდოს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ან შეიზღუდოს ამ ინფორმაციის მოცულობა, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ სრული ინფორმაციის მიღება პაციენტის ჯანმრთელობას მიაყენებს სერიოზულ ზიანს.5 ამ შემთხვევაში, კანონმდებლობა იძლევა უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას პაციენტის უფლებების და თავისუფლებების დაცვის მიზნით.*

პაციენტი უფლებამოსილია მისი პერსონალური მონაცემების კანონდარღვევით დამუშავების ან მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს და სასამართლოს, საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების შემთხვევაში კი - ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.

⁵ საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხლი 18 (2)

რეკომენდაცია ზოგადი ხასიათის დოკუმენტია, რომელიც ვერ ჩაანაცვლებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობას. კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, იხილეთ არსებული საკითხის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები.